პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 69 (183011) ოთხშაბათი, 24 მარტი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

## „წითელი შაბათობა“ გვიხმობს

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). „გელათის“ სამკერვალო საწარმოო გაერთიანებაში კარგა ხანია შეუდგნენ ლენინური შაბათობისათვის მზადებას. შრომის დღესასწაულის მომწყობმა შტაბმა შეიმუშავა პროგრამა, რომლის თანახმადაც ყველა საამქროს, უბნისა და ბრიგადის კოლექტივს კონკრეტული დავალება მიეცა. თუმცალა პროგრამა დოგმა როდია: მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ შესთავაზონ შტაბს ამა თუ იმ ღონისძიების უკეთ განხორციელების მიზნით გეგმების კორექტირება.

საერთოდ, 17 აპრილს, სამუშაოზე გამოვა გაერთიანების ყველა მუშა-მოსამსახურე, პროდუქციის გამოშვებაზე დასაქმდება 730 კაცი. გამომუშავებული თანხიდან ხუთწლედის ფონდში 12000 მანეთი გადაირიცხება. დასუფთავდება და კეთილმოეწყობა საწარმოს ტერიტორია, დაირგვება ასობით ხე და ბუჩქი.

**კასპი.** (საკ. კორ.). მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის შაბათობის მომწყობ შტაბში ყოველდღიურად მოდის ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს საამქროებში და უბნებზე ამ დღისათვის მზადება. აქ შემუშავებული გეგმის მიხედვით კოლექტივის თითოეულმა წევრმა კარგად იცის, რა კონკრეტული დავალება უნდა შეასრულოს თავისუფალი შრომის დღესასწაულზე.

კომუნისტურ შაბათობაზე 700 კაცი გამოვა, აქედან 430 დასაქმებული იქნება პროდუქციის გამოშვებაზე. რესპუბლიკის სამშენებლო ობიექტებზე გაგზავნიან 210 ათასი ცალ აგურს და ხუთწლედის ფონდში ასობით მანეთს გადარიცხავენ.

250-ზე მეტი კაცი მიიღებს მონაწილეობას კომბინატის ეზოსა და მისი შემოგარენის კეთილმოწყობაში. გალამაზდება ტერიტორია, დაირგვება მრავალი ხე და ბუჩქი.

**ხუთწლედის** მეორე წელი ენერგიულად დავიწყე. იანვარში ამოვილე და ვაგონებში ჩავტვირთე 432 ტონა მანგანუმის მადანი. ეს დავალებას 174 ტონით აღემატება. თებერვალში ტემპი კიდევ უფრო გავზარდე და საბჭოთა საქართველოს 61-ე წლისთავის ზეიმისათვის სამშობლოს პირველი კვარტალის დავალება ვუპატაკე.

გადაწყვეტილი მაქვს ღირსეულად შევხვდე ლენინურ შაბათობასაც. 17 აპრილისათვის მაისის ანგარიშში დავიწყებ შრომას.

**პ. ჭანკოტაძე,**
ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს გვირაბგამყვანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## ეჯითად მივხედოთ არკოსან კულტურებს

ახლა რესპუბლიკის მინდვრებში საგაზაფხულო თესვაა გაჩაღებული. მიწათმოქმედნი მასშტაბური და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტისათვის იბრძვიან. მათ სასურსათო პროგრამის საფუძველთა საფუძვლის — მარცვლეულის წარმოება წლეულს 585 ათას ტონამდე უნდა გაზარდონ, ხოლო ხუთწლედის დამლევისათვის — 800 ათას ტონამდე.

ამ მიჯნების მისაღწევად მიზანმიმართულად ირ...ბიან სოფლის კომუნისტები, ყველა მშრომელი, საგულდაგუ...ოდ უვლიან საშემოდგომო ნათესებს, ნაზამთრ ჯეჯილს სასუქს ...მარჯვებენ, რათა დაპურდეს და ბარაქიან ყანად იქცეს.

...სულ მალე კი მარცვლეულის ნათესების სტრუქტურაში თავის ...გილს დაიკავებენ პარკოსანი კულტურები, რომელთა მოსავა...ი მარშანდელთან შედარებით ერთისამად უნდა გაიზარდოს. ...ხელს შეუწყობს მეცხოველეობაში საკვები ცილის დეფიციტის ...მოფხვრას, შეამცირებს საფურაჟე მიზნით მარცვლეულის ხა...ჯვას და, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად შეავსებს სასურსა...ო რესურსებს.

ამ მხრივ საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი რესპუბლი...სათვის ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურის — ...ობიოს მოყვანას. მით უმეტეს, რომ ძვირფასი სასურსათო ...ულტურის ნათესები წლითიწლობით მცირდება, მოსავლიანო... არ მატულობს და არც შესყიდვის გეგმები სრულდება.

...შარშან ლობიოს მოვლა-მოყვანას გულგრილად მოეკიდნენ ...გარეჯოს, ზნაურის, საჩხერისა და გალის რაიონების კოლმე...რნეობები, თელავის, დუშეთისა და თიანეთის რაიონების საბ...ოთა მეურნეობები, სადაც მიღებული მცირე მოსავლით თესლი ...ოვს აინაზღაურეს. ეს, უწინარესად, იმის შედეგია, რომ ხსე...ბულ რაიონებში, და სამწუხაროდ, არა მარტო იქ, ჯეროვანი ...ურადღება არ ექცევა შესაბამის ნიადაგურ-კლიმატურ პირო...ბში ამ კულტურის მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიის და...რგვას, არ ახორციელებენ ღონისძიებათა კომპლექსს მოსავ...იანობისა და მთლიანად მოსავლის გასადიდებლად, ადგილობ...ივი პირველადი პარტორგანიზაციები ნაკლებ მომთხოვნელო...ს იჩენენ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების მი...რთ ლობიოს მოვლა-მოყვანის აგროტექნიკის, შრომისა და სა...გმო დისციპლინის განუხრელი დაცვისათვის, „ლობიოს წარ...ოებისა და შესყიდვის სტიმულირების დამატებითი ღონისძიებე...ს შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტე...ს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხო...ციელებისათვის.

ამ ფონზე შარშანდელი მაჩვენებლებით ურიგოდ როდი გამო...ურებიან ხაშურის, მცხეთის, ცხინვალის, ახმეტის, სიღნაღისა ...ა გულრიფშის რაიონების საბჭოთა მეურნეობების მემინდვრე...ი, რომლებმაც ლობიოს ნათესებს ყურადღება არ მოაკლეს, ...როზე გათოხნეს, მორწყეს და სასუქიც საკმარისი შეიტანეს. ...ასთან შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიალური სისტე... გამოიყენეს. სიღნაღსა და კასპში ნათესები ჰერბიციდებით ...მუშავდა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ხელის შრომის ...ცულობა და გაზარდა თითოეული ჰექტარის უკუგება. ამ მე...ოდს წლეულს რესპუბლიკის მხვნელ-მთესველები 900 ჰექტარ...ზე გამოიყენებენ, რაც ლობიოს მთელი ნათესების 15-20 პრო...ცენტს შეადგენს. თეთრი წყაროს, თიანეთის, ხაშურისა და გორის ...აიონებში ლობიოს ფართობები და წარმოება მნიშვნელოვნად ...აფართოვდება.

ახლა ამ და სხვა რაიონების მიწათმოქმედთა და აგრონომთა ...თავარი საზრუნავია უზადო თესლის მომარაგება, საგაზაფხუ...ლო მინდვრის სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შეს...რულება, პარკოსნებისათვის თესლბრუნვებში სათანადო ადგი...ის მიჩენა. საგეგმოზე მეტი ლობიოს კონდიციური თესლი აქვთ ...მომარაგებული ხაშურის, ქარელის, კასპის, სიღნაღის, წითელ...წყაროს და სხვა რაიონების მეურნეობებს, მაგრამ ამ საქმეს ...ველგან გულისყურით როდი ეკიდებიან. მაგალითად, სტატის...ტიკური სამმართველოს უკანასკნელი მონაცემებით, თესლი აკ...ლიათ საგარეჯოს, ყვარლის, ბოლნისის, ონის, თიანეთის, ზუგ...დიდის და სხვა რაიონებში, თესვა კი კარზეა მომდგარი.

რესპუბლიკის მინდვრებში წლეულს სოიას 22.182 ჰექტარი ...აეთმობა. ამ კულტურის ნათესების მოვლას შარშან მთელი ...აინტერესებით მოეკიდნენ და უხვი მოსავალიც მოიწიეს გეგეჭ...კორის, გარდაბნის და ხობის რაიონების მეურნეობებმა. მაგრამ ...ამ საქმეს ჯერ კიდევ ბევრგან სათანადო ყურადღებით არ ...ეკიდებიან. ზუგდიდის, გალისა და ლანჩხუთის კოლმეურნეობე...ბში რესპუბლიკურ საშუალო დონესთან შედარებით 2-ჯერ ნაკ...ლებია სოიის ჰექტარობრივი მოსავლიანობა. აქ, გარდა იმისა, ...რომ ნათესს კონკრეტული პირობების კვალობაზე არ მოუარ...ეს, მცირე მოსავლიანობის ერთ-ერთი არსებითი მიზეზია ალო...ების დროს მარცვლეულის დიდი დანაკარგები. მართალია, ...ჯერ მეურნეობას არ ჰქონდა სპეციალური მანქანების კომპ...ლექსი, რათა მოსავალი დროზე მოემკათ და გაელეწათ, მაგ...რამ იქ, სადაც საქმეს შემოქმედებითად მიუდგნენ, სოიის და...საბინავებლად ჩვეულებრივი მარცვლეულის ასალები კომბაინები ...გამოიყენეს და ჭირნახულიც გადაარჩინეს.

შარშანდელი გამოცდილების შესაბამისად, მეურნეობათა ხე...ლმძღვანელებმა, სოფლის საინჟინრო სამსახურმა ამთავითვე ...უნდა დაიჭირონ თადარიგი, რათა დროულად შეაკეთონ არსე...ბული მანქანები. ამ საქმეში მეტი აქტიურობა მართებთ საქ...სოფლტექნიკის რაიონულ გაერთიანებებს, რომელთაგანაც ...წლეულს მიწათმოქმედები სოიის ასაღებ მუხლუხიან კომბაინ...ებს ელიან, ურომლისოდაც კოლხეთის პირობებში ჭირს მოსა...ვლის დაბინავება.

...პარკოსანი კულტურების ნათესები ასევე გულმოდგინე მიხ...ედვას საჭიროებს შესაბამისი სამინისტროების, სამეცნიერო...კვლევითი ინსტიტუტების, საცდელი სადგურების კოლექტივე...ბისაგან. ისინი მხვნელ-მთესველებს უფრო აქტიურად უნდა ...დაეხმარონ ამ ცილოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის სამუ...შაო პროცესების მექანიზაციაში, ყველაზე პერსპექტიული, უხვ...მოსავლიანი ჯიშების შერჩევაში.

...თესვამდე დარჩენილი ყოველი დღე მემინდვრეებმა უხვცილი...ანი კულტურების წარმოების გადიდების გზებისა და ხერხების ...ძიებას, სათესი ფართობების ოპტიმალური სტრუქტურის გან...საზღვრას, წლევანდელი ბარაქიანი მოსავლის მიღების ტექნო...ლოგიის ათვისებას მაქსიმალურად უნდა მოახმარონ. წელს ...თესვა უნდა ჩატარდეს ოპერატიულად და ზუსტად აგროვადე...ბში. აქეთკენ უნდა წარვმართოთ ყველა ჩვენი ღონისძიება.

ამ საქმის წარმატებისათვის საჭიროა უფრო ეფექტიანად გა...მოვიყენოთ სასუქები, რაც შეიძლება მეტ მემინდვრეს შევას...წავლოთ შრომის მოწინავე ხერხები და სტაბილური მოსავლის ...მიღების ინდუსტრიული მეთოდები. მეურნეობებმა საგანგებო ...ყურადღება უნდა დაუთმონ თესვის ნორმების დაზუსტებას, ...რწყვის რეჟიმის დაცვასა და აღებული მოსავლის საშრობების ...მოწყობას. მხოლოდ ამის წყალობით დავძლევთ ჩამორჩენას პა...რკოსანი კულტურების წარმოებაში და ყოველგვარ ამინდში ...მოვიწევთ დაპროგრამებულ ჭირნახულს, ხორცს შევასხამთ საქა...რთველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის IV ...პლენუმზე ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მიერ რესპუბლიკის მემინ...დვრეთა წინაშე დასახულ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომ ...მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე არსებითად დიდ გარდატეხას ...მივაღწიოთ მარცვლეულის წარმოების დარგში.

...სოფლის მშრომელთა საპატიო მოვალეობაა ფართოდ გაშა...ლონ სოციალისტური შეჯიბრება შინაგანი რეზერვების ასამოქ...მედებლად და მიაღწიონ ნომენკლატურის მიხედვით მემინდვ...რეობის პროდუქციის წარმოების გეგმების გადამეტებით შეს...რულებას.



სურათზე: სტუმრად ტაშკენტის სსრ კავშირის 50 წლის თავის სახელობის სატრაქტორო ქარხანაში.



სურათზე: ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ლიმონარიუმის დათვალიერების დროს.
საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

# ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრები უზბეკეთის მშრომელებთან

**ტაშკენტი,** 23 მარტი (საკდესის სპეც. კორ. ა. ბელიკოვი, ე. ივანოვი). ხალისიანი განწყობილებით, შრომითი აღმავლობით დაიწყეს დღეს სამუშაო ცვლა ტაშკენტის სსრ კავშირის 50 წლის თავის სახელობის სატრაქტორო ქარხნის მშრომელებმა. ქარხნის მუშებს ესტუმრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. მას ყველგან გულთბილად და გულითადად ხვდებოდნენ. ახალგაზრდა მუშებმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს შ. რ. რაშიდოვს ყვავილები მიართვეს.

საწარმოს სტუმრობა დაიწყო საამწყობო საამქროს გიგანტური კორპუსის წინ, მოედანზე ექსპონირებული მანქანათა გამოფენის დათვალიერებით. აქ წარმოდგენილი იყო ტექნიკა, რომელსაც უშვებენ უზბეკეთის უდიდესი მანქანათსაშენებელი საწარმოები — სატრაქტორო ქარხანა და „ტაშსოფლმანქანა“, რომლებიც მჭიდრო კოოპერაციით მუშაობენ.

სატრაქტორო ქარხნის დირექტორმა ი. ხ. მუსინმა და „ტაშსოფლმანქანის“ დირექტორმა ო. ვ. ნოვიცკიმ თქვეს, რომ საწარმო ყოველწლიურად უგზავნის ქვეყნის მიწათმოქმედთ ბამბის პლანტაციებში სამუშაო 30 ათასამდე ტრაქტორს. ქარხანა რეკონსტრუირდება, სერიული გამოშვებისათვის ამზადებს ასი ცხენისძალის სიმძლავრის ძრავიან ახალ მანქანას.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი დიდად დაინტერესა ორ და ოთხ მწკრივში სამუშაო აგრეგატებმა, მანქანებმა, რომლებიც ერთდროულად ასრულებენ ორ ოპერაციას — კრეფენ ბამბას და უზრუნველყოფენ მის პირველადს გაწმენდას. საწარმოს მუშებთან, ინჟინრებთან, ხელმძღვანელებთან საუბრისას მან ხაზი გაუსვა, რომ ასეთი მანქანები ძალზე საჭიროება. მებამბეებს და მათი გამოშვება უნდა გაიზარდოს. უნდა იზრუნონ აგრეთვე იმისთვისაც, რომ ამაღლდეს შრომის დისციპლინა ყოველ სამუშაო ადგილზე, გაფართოვდეს წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობისა და კონტროლის ფორმები. აქ ბევრი რამ ექნებათ გადასასინჯი ადმინისტრაციას, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს. ამასთანავე მათ მხედველობიდან არ უნდა რჩებოდეთ მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხები, უნდა გამოუმუშაონ მშრომელებს მზრუნველი დამოკიდებულება საერთო სახელმწიფო საქმისადმი.

შემდეგ ამხანაგი ბრეჟნევი იყო საამწყობო საამქროში, გაეცნო კონვეიერის მუშაობას. საამქროს მუშები გულითადად მიესალმნენ ძვირფას სტუმარს. ელექტრიკოსმა ა. ვ. სიმონოვმა — საწარმოს ერთ-ერთმა ყველაზე პატივცემულმა მუშამ, სამამულო ომის მონაწილემ ფრონტელების, ქარხნის ყველა მუშის სახელით უღრმესი მადლობა მოახსენა ლეონიდ ილიას ძეს მშრომელ ადამიანებზე დაუღალავი ზრუნვისათვის, მშვიდობის საქეთილდღეო დაუცხრომელი საქმიანობისათვის.

ტაშკენტის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობაში, ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისებაში უზბეკ მანქანათმშენებლებს ძმურად ეხმარებოდნენ ვლადიმირის, მინსკის, ქვეყნის ბევრი სხვა ქალაქის ტრაქტორმშენებლები — ეს უთხრეს ამხანაგ ბრეჟნევს მუშებმა. მათ თქვეს, რომ ქარხნის კოლექტივმა უზბეკეთში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო შრომის ორგანიზაციის ისეთი პროგრესული სისტემის დანერგვა, როგორიც არის ერთიანი გაწევსი, ამან საბრიგადო... გავლენა მოახდინა წარმოებაზე, მოაცლევინა ბევრ მუშაკს სხვა დიდმნიშვნელოვანი სამუშაოებისათვის, განამტკიცა შრომის დისციპლინა.

გამმართველმა მ. ტურაპოვმა, უფროსმა ოსტატმა ა. ვ. ფედიუშინმა და ქარხნის სხვა მშრომელებმა გულითადი მადლობა მოახსენეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ლენინური საგარეო პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელებისა, ქვეყნად მშვიდობის დასამკვიდრებლად მიზანდასახული ბრძოლისათვის. მათ ტრაქტორმშენებლების სახელით განაცხადეს, რომ მთლიანად უჭერენ მხარს ახალ სამშვიდობო წინადადებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა პროფკავშირების XVII ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში.

საპატიო სტუმრების წიგნში ლ. ი. ბრეჟნევმა დატოვა შემდეგი ჩანაწერი:

„მოხარული ვარ, რომ შევხვდი ტაშკენტის ტრაქტორმშენებელთა სახელოვან კოლექტივს.

თქვენი ქარხანა საბჭოთა უზბეკეთის მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი საუკეთესო საწარმოა, რომელიც წარმატებით წყვეტს წარმოების ორგანიზაციისა და მართვის, ტექნიკური პროგრესისა და კოლექტივის სოციალური განვითარების მრავალფეროვან საკითხებს.

ძნელია ჯეროვნად არ შეაფასო როლი, რომელსაც ტრაქტორმშენებელთა ერთსულოვანი კოლექტივი ასრულებს ბამბის მოვლა-მოყვანისა და მოსავლის აღების კომპლექსური მექანიზაციისათვის ბრძოლაში.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, დაგელაშქროთ ახალი მიჯნები პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, მოგეპოვებინოთ დიდი შრომითი წარმატებანი, ყოფილიყავით მუდამ ჯანმრთელად და ბედნიერად“.

შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი ეწვია ტაშკენტის ერთ-ერთ უდიდეს საწარმოს — ვ. პ. ჩკალოვის სახელობის საწარმოო საავიაციო გაერთიანებას. იგი გაეცნო საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ზოგიერთ ნიმუშს.

ამავე დღეს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი იყო ტაშკენტის ოლქის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. მან ნახა, თუ როგორ მოჰყავთ უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსის ზ. ფახრუტდინოვის მიერ გამოყვანილი ციტრუსის შესანიშნავი ჯიშები. კოლმეურნეებმა სტუმარს უამბეს, რომ გასულ წელს მათ მოიწიეს ას ტონაზე მეტი ლიმონი და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდეს გეგმა. ამ მეურნეობის გამოცდილება მოწმობს, რომ რესპუბლიკას მდიდარი შესაძლებლობანი აქვს არა მარტო ბამბისა და სხვა ტრადიციული კულტურების, არამედ აგრეთვე სუბტროპიკული ხილის წარმოების გადიდების მხრივაც. კოლმეურნეობის ლიმონარიუმმა დასაბამი მისცა ყინვაგამძლე, შუა აზიის მკაცრი კონტინენტური ჰავის პირობებს შეგუებული ციტრუსების პლანტაციების გაშენებას რესპუბლიკის სხვა მეურნეობებში, უახლოეს წლებში დაგეგმილია შეძენილი გამოცდილების საფუძველზე ციტრუსის წარმოება 80 მილიონ ცალამდე გაიზარდოს.

ზ. ფახრუტდინოვთან, კოლმეურნეებთან საუბრისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრონომიის მეცნიერებასთან სასოფლო-სამეურნეო წარმოების კავშირის განმტკიცებას. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა, რომ პარტიამ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა კომპლექსური სასურსათო პროგრამის დაჩქარებული გადაწყვეტა.

კოლმეურნეებთან საუბრის დროს ლეონიდ ილიას ძემ გამოიკითხა, როგორ შენდება საცხოვრებელი ბინები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები. მან კოლმეურნეობის, მისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ურჩია გულისხმიერად მოეკიდონ მშრომელთა მოთხოვნებს. აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი, ხაზი გაუსვა ლეონიდ ილიას ძემ.

ქარხნისა და საწარმოო საავიაციო გაერთიანების მუშებმა, კოლმეურნეებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს გულითადი მადლობა მოახსენეს იმისათვის, რომ ეწვია მათს კოლექტივებს, მისცა პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი და რეკომენდაციები. მშრომელებმა ლეონიდ ილიას ძეს უსურვეს ნაყოფიერი მოღვაწეობა საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს განსამტკიცებლად, მთელი მსოფლიოს მშვიდობის დასამკვიდრებლად.

ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად სატრაქტორო ქარხნის, საავიაციო გაერთიანებისა და კოლმეურნეობის დასათვალიერებლად იყვნენ ამხანაგები შ. რ. რაშიდოვი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ბ. უსმანხოჯაევი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. დ. ხუდაიბერდიევი, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. უ. უსუბალიევი, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. რასულოვი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მ. გ. გაპუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი.

## დელეგაცია დაბრუნდა

**სოფია,** 23 მარტი. (საკდესი) დღეს სოფიიდან მოსკოვს გამოემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მ. ს. სოლომენცევის მეთაურობით. დელეგაცია აქ ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების მიწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მ. გ. ბამაისტრიუკი, ვ. გ. ბოიკო, ვ. პ. ნიკონოვი, ვ. ა. შატალოვი.

სოფიის აეროპორტში დელეგაცია გამოაცილეს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების თავმჯდომარემ ს. ტოდოროვმა, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო-სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. პაპაზოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. გამცილებელთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ნ. პ. ტოლუბეევი.

* * *

მოსკოვის აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ე. პოლიაკოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

## ცალკე ბროშურად

**ცალკე** ბროშურად გამოიცა სიტყვა „მშრომელი ადამიანებისათვის ზრუნვა, წარმოებისათვის ზრუნვა—პროფკავშირების ყურადღების ცენტრში“, რომელიც 1982 წლის 16 მარტს მოსკოვში გამართულ სსრ კავშირის პროფკავშირთა მე-17 ყრილობაზე წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ბროშურა გამოუშვა პოლიტგამომცემლობამ და დაბეჭდა მოსკოვის სტამბამ „წითელმა პროლეტარმა“. (საკდესი).

## საქართველოს პროფკავშირთა სტუმრები

— **ძნელია** გადაჭარბებით შევაფასოთ სსრ კავშირის პროფესიული კავშირების ახლახან დამთავრებული ყრილობის, ამ ფორუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვაში წამოყენებული ახალი სამშვიდობო ინიციატივების მნიშვნელობა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს პოლონეთის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის მთავარი გამგეობის თავმჯდომარემ ა. ბოლეხოვსკიმ. იგი მეთაურობს მოძმე ქვეყნის პროფკავშირთა დელეგაციას, რომელიც ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ საქართველოს დედაქალაქს ესტუმრა.

— მადლობელი ვართ საბჭოთა კავშირისა, — თქვა შემდეგ ა. ბოლეხოვსკიმ, — ქმედითი დახმარებისათვის, რომელიც მან გაგვიწია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების საქმეში, ლენინური პარტიული და სახელმწიფოებრივი ნორმებიდან გადახვევით გამოწვეულ სიძნელეთა დაძლევაში. ჩვენ დიდი მუშაობა მოგველის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

22 მარტს პოლონეთის პროფკავშირთა დელეგაცია მიიღეს საქართველოს პროფსაბჭოში. სტუმრები ინტერესით გაეცნენ რესპუბლიკის პროფესიული კავშირების საქმიანობის გამოცდილებას სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის, წარმოების განმტკიცების საქმეში მშრომელთა ჩაბმის, მუშა-მოსამსახურეთა შრომის დაცვის უზრუნველყოფაში.

პოლონელ მეგობრებთან საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფსაბჭოს მდივნები ზ. კვაჭაძე, ზ. ლაბახუა და ი. ხაზარაძე.

იმავე დღეს პოლონელი სტუმრები ეწვივნენ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“, დაათვალიერეს პროფკავშირთა კულტურის სასახლე, ინახულეს „ქართმხალის“ სპორტული კომპლექსი, გაეცნენ საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

* * *

**საქართველოში** მყოფი პოლონეთის პროფკავშირთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის მთავარი გამგეობის თავმჯდომარე ა. ბოლეხოვსკი, ეცნობა რესპუბლიკის ცხოვრებას. პოლონელი მეგობრები იყვნენ თბილისის სამრეწველო საწარმოებში, დაათვალიერეს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, გაემგზავრნენ მცხეთაში.

23 მარტს დელეგაცია მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ პოლონელ მეგობრებს გააცნო რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტრუქტურა, მისი მუდმივი კომისიების, ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა.

სტუმართა სახელით ა. ბოლეხოვსკიმ გულთბილი მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის და რწმენა გამოთქვა, რომ სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა და ძმობა კიდევ უფრო განვითარდება და განმტკიცდება.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ი. ხაზარაძე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე ვ. ჭიპაშვილი. (საქინფორმი).

ეს დღეები სოფლად

## ვაზის მყნობა დაიწყო

**რესპუბლიკის** სახელმწიფო სანერგე მეურნეობებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ვაზის მყნობა. ერთ-ერთი პირველი შეუდგა ამ საქმეს გურჯაანის რაიონის ვეჯინის სანერგე მეურნეობის კოლექტივი. ერთ დღეში აქ თითქმის 100 ათასი ძირი დაამყნეს.

მიმდინარე წელს მეურნეობაში გამოიყვანენ ხუთ მილიონ „რქაწითელის“, „საფერავის“, „ხიხვის“ ნამყენს.

მყნობის სეზონისათვის კარგად მოემზადნენ გურჯაანის რაიონის ბაკურციხის, ყვარლის რაიონის ახალსოფლისა და მთისძირის, ამბროლაურის რაიონის ჭყვიშის, საგარეჯოს რაიონის იორმუღანლოსა და ჩაილურის, თელავის რაიონის შალაურის, მარნეულის რაიონის ქირაჩ-მუღანლოსა და თამარისის სანერგე მეურნეობებში, აქ დროულად მოაწესრიგეს ინვენტარი, დაამზადეს სამყნობი მასალა, საჭირო მოწყობილობა, მოამზადეს მყნობელთა კადრები.

მეურნეობები დიდი ყურადღებით შეუდგნენ უნიკალური ჯიშების ვაზის — მანავის მწვანეს, ალექსანდროულის, ოჯალეშის, ჩხავერის, კრახუნის, ალადასტურის მყნობას. განზრახულია უახლოეს დროში რესპუბლიკაში ათასობით ჰექტარ ფართობზე გააშენონ ამ უნიკალური ჯიშების ვაზი.

— მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წელს საქართველოს სახელმწიფო სანერგე მეურნეობებმა, — თქვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანერგე მეურნეობათა ტრესტის მმართველმა ნ. ჩხოლარიამ, — უნდა დაამყნონ ასი მილიონი ვაზის ნერგი. ეს ორი მილიონით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს. (საქინფორმი).

## ჩაის პლანტაციებში

**მახარაძე.** (საკ. კორ. ბ. ჩხაიძე). სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა. მეჩაიეები აქედანვე უყრიან მტკიცე საფუძველს წლევანდელ რეკორდულ მოსავალს, ყველგან იგრძნობა ენერგიული შრომის სწრაფი ტემპი. სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ძირითადად დაამთავრეს ჩაის ზამთარ-გაზაფხულის სამუშაოები. მწკრივთაშორის მიწა 170 ჰექტარზე დაბარეს, შეიტანეს მინერალური და ორგანული სასუქები. გაწმინდეს 1800 მეტრი წყალგამტარი არხები, გაიყვანეს 7.000 მეტრი ახალი არხები. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ბუჩქების გასხვლა-ფორმირება.

ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა უკვე დაამთავრეს ჩაის პლანტაციებში მსუბუქი ბარვა და მინერალური სასუქების შეტანა 205 ჰექტარზე. ამ დღეებში დაამთავრებენ ჩაის ბუჩქების მძიმე და ნახევრად მძიმე გასხვლის სამუშაოებს, პლანტაციებში სადრენაჟო არხების გაჭრას 1.500 მეტრზე.

რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ბეჯითად შრომობენ მიმდინარე წელს ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის. გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საზღვარს მთელი ხალხი იცავს

# საზოგადოების მხარდამხარ

სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ ახლანდელი რთული საერთაშორისო ვითარების პირობებში იზრდება სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოების და სასაზღვრო ჯარების პასუხისმგებლობა სახელმწიფო უშიშროების საიმედო უზრუნველყოფისათვის. აქედან გამომდინარე, მშრომელთა დახმარება და მხარდაჭერა დღეს ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მესაზღვრეთა ძლიერების უმნიშვნელოვანესი წყაროა.

დღითი-დღე მტკიცდება და ვითარდება რესპუბლიკის მშრომელთა საბრძოლო მეგობრობა და თანამშრომლობა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის მესაზღვრეთა საგუშაგოების, საკონტროლო-გასაშვები პუნქტებისა და საგუშაგო ხომალდების კოლექტივებთან. ეს არის სახელმწიფო საზღვრის ერთობლივი დაცვა და ურთიერთდახმარება, დიდი იდეოლოგიური მუშაობა საზღვრისპირა მოსახლეობისათვის მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის ჩასანერგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა, პარტიული და საბჭოთა ორგანოები ნიადაგ ზრუნავენ საზღვრის დაცვის საიმედოობის ამაღლებისათვის, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სასაზღვრო ნაწილების მეომრებისათვის. მარტო უკანასკნელ ხანს მიღებულ იქნა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, შემუშავებულია ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ღონისძიებათა კომპლექსი მომავალი პერიოდისათვის.

სახელმწიფო საზღვრის დაცვის საზღვრისპირა რაიონების ადგილობრივ მცხოვრებთა სიფხიზლის ამაღლების საკითხები განხილულ იქნა პარტიული აქტივის კრებებსა და თათბირებზე, პარტიული კომიტეტების ბიუროს სხდომებზე, შემუშავებულია და ხორციელდება საზღვრისპირა რაიონების მოსახლეობისა და მესაზღვრეთა რაზმების ერთობლივი მუშაობის გეგმები.

საზღვრისპირა მოსახლეობის დიდი აქტიურობის პირობებში მოეწყო ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების აქტივის ზონალური თათბირები, რაზმელთა რაიონული და საქალაქო შეკრებები. პრაქტიკად დამკვიდრდა, რაზმების ხელმძღვანელთა, პარტიული, საბჭოთა მუშაკებისა და აქტივისტების სემინარების მოწყობა, რომლებზეც განიხილავენ მესაზღვრეთა დახმარების კონკრეტულ საკითხებს.

საზღვრისპირა რაიონებსა და ჯარის ნაწილებში ყოფნისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და ოლქის ჯარების პოლიტგანყოფილების პასუხისმგებელმა მუშაკებმა განაზოგადეს ის დადებითი გამოცდილება, რომელიც შექმნილია ადგილობრივი მოსახლეობისა და მესაზღვრეების მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ამ დიდმნიშვნელოვან მუშაობაში გამოვლინდა ბევრი ახალი და საყურადღებო რამ საზღვრის დაცვისათვის.

სიფხიზლის ამაღლების პრობლემებისადმი მიძღვნილ გამოსვლებში პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები აბამენ ხელმძღვანელ მუშაკებს, პარტიულ აქტივს, საზოგადოება „ცოდნის" ლექტორებს. სისტემატურად ეწყობა მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებანი, რომლებიც საზღვრის დაცვის საკითხებს ეძღვნება. ამ მიმართულებით დიდ აქტიურობას იჩენენ საზღვრისპირა რაიონები, სადაც მუშაობენ ამხანაგები მ. ქაჯაია, ს. ჩანიშვილი, შ. თურმანიძე, გ. ნაჭყებია, გ. პატიაშვილი, ზ. გუგუნავა, ჟ. პატლაძე და სხვ.

მუდმივი ურთიერთობა მწვანექუდიან მეომრებთან, ადგილობრივ მცხოვრებთა აქტიური ინფორმირება საერთაშორისო მდგომარეობის, საზღვრის ვითარების შესახებ, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების გააქტიურება. ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს ავამაღლოთ სიფხიზლე, მზად ვიყოთ პირველი საჭიროებისთანავე გამოსვლისათვის.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის გამოუყენებელი შესაძლებლობანი და რეზერვები. ზოგიერთ რაიონსა და სასაზღვრო ნაწილში პერსპექტიული გეგმები დგება, მაგრამ ყოველთვის არ სრულდება, იჩენს ფორმალურ დამოკიდებულებას სიფხიზლის გაძლიერების საკითხებისადმი. ეს გასულ წელს აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ხაზი გაესვა აგრეთვე პარტიულ მუშაკთა, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების აქტივის და სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების ზონალურ თათბირებზე. სწორედ ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა განუხრელად სრულდებოდეს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები.

საზღვრის თითოეულ მეომარს, ყოველ ადგილობრივ მცხოვრებსა და სახალხო რაზმელს კარგად უნდა ესმოდეს საზღვრის დაცვის მნიშვნელობა, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების და მთელი მოსახლეობის როლი ამ ამოცანის გადაწყვეტაში, მუდამ იცოდნენ საზღვრის რეჟიმის წესები და სამართლებრივი დებულებები.

რამდენიმე წელია ზედიზედ ოლქის სამხედრო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით ჯილდოვდება ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების რაიონული შტაბი, რომელსაც სათავეში უდგანან ამხანაგები რ. ბაქრაძე და ტ. დიასამიძე. აქ არის ასობით ნებაყოფლობითი სახალხო რაზმი, მესაზღვრეთა ათასობით აქტიური თანაშემწე, მშრომელები, კომკავშირელები, პიონერები და მოსწავლეები. სასაზღვრო რაზმთან ერთად აქ რეგულარულ შეკრებებს აწყობენ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები და მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრები, ტარდება სიფხიზლის რეიდები, საზღვრის დამრღვევთა სასწავლო ძებნა.

ამ ცოტა ხნის წინ პარტიის რაიკომის ბიუროს წევრები იყვნენ მესაზღვრეთა საგუშაგოებში, ეწვივნენ ნებაყოფლობით სახალხო რაზმებს. შემოწმების, მეომრებთან შეხვედრების შემდეგ განიხილეს წინადადებანი საზღვრის დაცვის საიმედოობის ამაღლების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების ძალების განაწილების შესახებ.

მოწონების ღირსია იმ სახალხო რაზმების საქმიანობა, რომელთა მეთაურები არიან შ. ჩხაიძე, ო. ითელიანი, ო. კარაპეტიანი, მ. მიქელაძე და სხვები. ეს რაზმები საგრძნობლად განმტკიცდნენ ორგანიზაციული და პოლიტიკური თვალსაზრისით. რაზმელთა უმრავლესობას შეადგენენ კომუნისტები და კომკავშირელები, ბევრ მათგანს მამაცური შრომისა და მესაზღვრეთა აქტიური დახმარებისათვის მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. საზღვრის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის ბევრ რაზმელს ახალისებს რაიონების ხელმძღვანელობა და სასაზღვრო ჯარების სარდლობა. ასეთი მუშაობა უზრუნველყოფს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების საქმიანობის მაღალ ეფექტიანობას საზღვრისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

სახალხო რაზმებში რეგულარულად ეწყობა კრებები, მესაზღვრეებთან შეხვედრები, რაზმელთა სწავლება. უბანზე რაზმელთა გასვლის წინ მარტოდენ ინსტრუქტაჟს როდი სჯერდებიან. მათ ასწავლიან, როგორ აღმოაჩინონ და დააკავონ მსტოვრები და საზღვრის დამრღვევები, აცნობენ დოკუმენტებს, საკანონმდებლო აქტებს.

დღეს საზღვრის დარღვევის ან დამრღვევის გამოჩენის შესახებ სიგნალს მარტოდენ მესაზღვრეები როდი იძლევიან. ნებისმიერ დროს, დღისით თუ ღამით, ნებისმიერ ამინდში, დარსა თუ ავდარში ადგილობრივი მცხოვრებნი და რაზმელები მზად არიან საბრძოლო ვახტზე გამოსასვლელად. უნდა ითქვას, რომ სახალხო რაზმელებს არაერთგზის გამოუჩენიათ თავი მტკიცე მოქმედებით, მაღალი ორგანიზებითა და სიფხიზლით.

სამ დღეს მიმდინარეობდა ძებნა საზღვრის ერთ-ერთ უბანზე. ორი შეიარაღებული დამრღვევი ფრთხილად მიიპარებოდა, ისინი გვერდს უვლიან გზებსა და დასახლებულ პუნქტებს, გაურბოდნენ ადამიანებს. მათი მიზანი იყო რაც შეიძლება მალე გამოსულიყვნენ სასაზღვრო ზონიდან და მგზავრთა ნაკადს შერეოდნენ. მაგრამ შეუმჩნეველნი არ დარჩენილან.

ერთ-ერთი სოფლის ბოლოში მათ ყურადღება მიაქციეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, შემდეგ სიფხიზლე გამოიჩინეს ორმა ყმაწვილმა და ავტობუსის მძღოლმა. კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ირაკლი თალაკვაძემ და მილიციის მუშაკმა ტარიელ მდინარაძემ ყველაფერი იღონეს, რათა მსტოვრები ვერ მიმალულიყვნენ. ბევრი ადგილობრივი მცხოვრები და საზღვრის მეომარი მონაწილეობდა ამ ძებნაში. მათი თავდადების, ვაჟკაცობისა და საზრიანობის მეოხებით ორივე დამრღვევი დააკავეს.

იყო ასეთი შემთხვევაც. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრი მძღოლი რ. ვარშანიძე გვიან ღამით ავტომანქანით ბრუნდებოდა შინ, საზღვრისპირა სოფელში. გზის მახლობლად, ბუჩქებში მან საეჭვო კაცი შეამჩნია, პიროვნების დადგენისას უცნობმა სცადა გაქცეულიყო, მაგრამ მძღოლმა იგი დააკავა და საგუშაგოზე მიიყვანა.

სიფხიზლე და ვაჟკაცობა გამოიჩინეს წელს ნ. ტაბიძემ და ნ. ცინცაძემ. მათი დახმარების მეოხებით საზღვრის დამრღვევმა დიდხანს ვერ იბოგინა.

არ ჩაუვარეს გვერდი „უცხო კაცს" არც რაზმელებმა ლ. მოთაძემ, გ. ვერამიძემ, ლ. ბერიძემ, რომლებმაც ყველაფერი იღონეს, რათა დაეკავებინათ საზღვრის დამრღვევი. ნორჩ გმირებს შორის არიან პიონერები — ისმეთ კონცელიძე, ჰასან გოგლაძე, ზურაბ და თემურ მახარაძეები, რომლებმაც ძველი ციხის ნანგრევებში თამაშის დროს იქ დამალული კაცი შეამჩნიეს და მყისვე აცნობეს მესაზღვრეებს. უცნობი საზღვრის დამრღვევი გამოდგა.

ადგილობრივ მცხოვრებთა, სახალხო რაზმელთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობენ ოფიცრები, მესაზღვრეები ბ. ლაზოშვილი, ვ. სიხარულიძე, ბ. მარტინიუკი, პ. ხომენკო, შ. უმეტაძე და სხვები. ისინი ხშირად დადიან საზღვრის დასახლებულ პუნქტებში, იქ, სადაც მუშები და კოლმეურნეები შრომობენ, მონაწილეობენ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების წევრთა სწავლებასა და აღზრდაში, მათი სამსახურის ორგანიზაციაში.

ამხანაგები ვ. პოლიაკოვი, ა. ვინოგრადოვი, გ. საველიევი, პ. ხაჩატრიანი, პ. გიორგაძე და სხვები, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები არიან, რეგულარულად ხვდებიან საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებლებს, იციან იქაურთა საფიქრალ-საზრუნავი და დამსახურებული ავტორიტეტი აქვთ მოხვეჭილი. ალბათ, მთელ სასაზღვრო რაიონში არ იქნება კაცი, ოფიცერ გ. ლაზიაშვილს რომ არ იცნობდეს, მას ყველანი ქებით იხსენიებს. ოფიცერი გ. ლაზიაშვილი ხშირად დადის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, თანაც, თავის მუშაობას ოფიციალური საუბრებისა და მოხსენებების ფარგლებით არ ზღუდავს. ამას კი კარგი ნაყოფი გამოაქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც საზღვრის დაცვას თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნევენ, მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებენ მესაზღვრეებს მატერიალურ-ტექნიკური დახმარების, საგუშაგოების კეთილმოწყობის თვალსაზრისით. მარტო მეათე ხუთწლედის წლებში მშრომელთა კოლექტივების დახმარებით საზღვარზე აშენებული და აღდგენილია ათობით კილომეტრი გზები, რამდენიმე ათეული ხიდი, მრავალი კილომეტრი დამცავი მესერი, კავშირგაბმულობის ხაზები, ბევრი სამუშაო სამეფო დახმარების წესით შესრულდა. დღეს შეუძლებელია შეაფასო ყოველივე, რაც მშრომელებმა გააკეთეს.

თავის მხრივ, მეგობრობის ტრადიციების ერთგული მესაზღვრე მეომრები მუდამ მზად არიან ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად. მაგალითად, ერთ-ერთი საგუშაგოს მეომრები, რომლებსაც პრაპორშჩიკი მეთაურობს, ფეხზე დადგა, როგორც კი შეიტყო, რომ კოლმეურნეობის ზვინებს ცეცხლი გაჩენოდა. მესაზღვრეები თამამად ჩაებნენ ცეცხლთან ბრძოლაში და დაამარცხეს იგი. მეომრები ყოველთვის პოულობენ დროს, რომ დაეხმარონ კოლმეურნეებს მოსავლის აღებაში, სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში.

ახლოვდება სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჩამოყალიბების 60 წლის თავი. საიუბილეო ზეიმის სამზადისი და მოწყობა ხელს შეუწყობს რესპუბლიკის მესაზღვრეებისა და მოსახლეობის ტრადიციული მეგობრობისა და თანამოქმედების შემდგომ განმტკიცებას საზღვრის დაცვის, ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის გაუმჯობესებას, საბჭოთა მესაზღვრეების გმირული ტრადიციების ფართო პროპაგანდის საქმეში.

სახელმწიფო საზღვრის დაცვა საყოველთაო-სახალხო საქმეა. ეს არაერთგზის აღუნიშნავთ ხაზგასმით თავიანთ გამოსვლებში ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, თავიანთ დოკუმენტებში — სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მესაზღვრეებსა და ადგილობრივ მოსახლეობას სამშობლოს მიჯნების დაცვა უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად მიაჩნიათ და მას წყვეტენ გაერთიანებული მეცადინეობით, პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით.

**ს. ოგიენკო,**
ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე.

## წიგნი — თანამემნე

**გაიმართა** წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობის ორდღიანი თათბირ-სემინარი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების გამგეობათა პასუხისმგებელი მუშაკები, დარგობრივი ლიტერატურის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოების თავმჯდომარეები.

თათბირ-სემინარზე განიხილეს თანამედროვე პირობებში იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური პრობლემები, საზოგადოების პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობის ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით, სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს — ღირსეული შეხვედრა, დარგობრივი ლიტერატურის პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა და სხვ. გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი წიგნის მოყვარულთა საზოგადოებისა და დამფუძნებელი ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობის პრობლემების საზოგადოების საქმიანობის დადებითი გამოცდილების, მისი განზოგადებისა და გავრცელების გზებისა და საშუალებების იმ ნაკლოვანებების შესახებ, რომლებსაც საზოგადოების გამგეობამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს.

შეკრებილებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ლექციები თემებზე: „იდეოლოგიური ბრძოლა და კონტრპროპაგანდა", „საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური საკითხები" და სხვ. (საქინფორმი).

## „საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 3

**გამოვიდა** ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მორიგი, მესამე ნომერი.

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი — ამ სათაურით გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გარდამავალი წითელი დროშებით გამარჯვებულთა დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ათი წლის თავთან დაკავშირებით დაბეჭდილია სარედაქციო წერილი — ისტორიულ გარდაქმნათა ნიშანსვეტი.

## ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

# ინდოეთის კომუნისტთა ყრილობა

**ვარანასი.** (უტარ-პრადეშის შტატი) აქ მიმდინარე ინდოეთის კომუნისტური პარტიის XII ყრილობაზე დღეს საანგარიშო მოხსენება გააკეთა ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა რ. რაომ. მან თქვა, რომ ინდოეთის კომპარტიის ბხატინდის XI ყრილობის შემდეგ პარტია თანამიმდევრულად იღვწოდა მშრომელთა ძირეული ინტერესების დასაცავად, პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განსახორციელებლად, ქვეყნისა და მისი ხალხის წინაშე მდგომი აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად. განვლილი წლების მანძილზე გაიზარდა პარტიის ავტორიტეტი და გავლენა ხალხის მასებს შორის.

ინდოეთის კომპარტიის საქმიანობაში, აღინიშნა საანგარიშო მოხსენებაში, დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო პრობლემებს, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობისათვის ბრძოლას, ინდოეთის წინააღმდეგ მიმართული იმპერიალისტური ხრიკების მხილებას.

პოლიტიკური რეზოლუციის პროექტში, რომელიც შემდეგ წარუდგინა განსახილველად ყრილობის დელეგატებს ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს მდივანმა ნ. კ. კრიშნანმა, აღნიშნულია, რომ „თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ცენტრალურ საკითხად რჩება ომისა და მშვიდობის საკითხი, პრობლემა, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან თერმობირთვული კატასტროფა".

ამასთან დაკავშირებით ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებებში საგანგებოდ აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXVI ყრილობის მშვიდობის პროგრამას, აგრეთვე სამშვიდობო ინიციატივებს, რომლებიც უკანასკნელ ხანს წამოაყენა საბჭოთა კავშირის მთავრობამ, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა. ამ ინიციატივებმა ახალი მძლავრი იმპულსი მიანიჭა მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობას.

საანგარიშო მოხსენებასა და ინდოეთის კომპარტიის ყრილობის პოლიტიკური რეზოლუციის პროექტში ნათქვამია, რომ ი. განდის მთავრობა ადგას პროგრესულ საგარეო პოლიტიკას — მშვიდობის, მიუმხრობლობისა და ანტიკოლონიალიზმის პოლიტიკას. იგი ილწვის, რათა განამტკიცოს ინდოეთის მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან. ეს გზა ემთხვევა როგორც ინდოეთის ეროვნულ ინტერესებს, ისე საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლის ინტერესებს.

მომხსენებლებმა აღნიშნეს, თუ რაოდენ საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს და გაფართოვდეს ინდოეთის მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან, და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის 1980 წლის დეკემბრის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი ინდოეთში. ორი ქვეყნის ურთიერთობის საარსებო მნიშვნელობის ფაქტორია მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

დღეს პარტიის ეროვნული და ინტერნაციონალური ამოცანები იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ისინი უნდა განვიხილოთ განუყრელი ერთიანობით ხალხის ინტერესებისა და ქვეყნის უშიშროების წარმატებული დაცვის თვალსაზრისით.

ამ დიდი და ძნელი ამოცანების გადასაწყვეტად ყრილობის პოლიტიკური რეზოლუციის პროექტი სახავს 22-პუნქტიან კონკრეტულ სამოქმედო პროგრამას. ინდოეთის კომპარტიის გადაუდებელი ამოცანაა ხალხის მასების, ქვეყნის მთელი პატრიოტული ძალების მობილიზაცია, რათა ერთად იბრძოლონ მთავრობის საგარეო პოლიტიკის, ინდოეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, მემარჯვენე და რეაქციული ძალების ცდების წინააღმდეგ, რომლებსაც სწადიათ შეასუსტონ რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ანტიიმპერიალისტური გზა.

## მშვიდობიანი კოსმოსისათვის

**ნიუ-იორკი.** აქ მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ კომიტეტის სესიამ, რომელიც შექმნილია მშვიდობიანი მიზნებით კოსმოსური სივრცის გამოყენებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ ახლანდელი სესია დედამიწის პირველი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვების 25 წლის თავის წელს იხსნება, თქვა სხდომის გახსნისას კომიტეტის თავმჯდომარემ პ. იანკოვიჩმა (ავსტრია). მას შემდეგ კაცობრიობამ უდიდესი წარმატებები მოიპოვა კოსმოსური სივრცის კვლევასა და გამოყენებაში.

სესიის თანადროულად გაერთიანებული ერების შტაბ-ბინაში მუშაობას შეუდგა კომიტეტი, რომელიც ამზადებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეორე კონფერენციას მშვიდობიანი მიზნებით კოსმოსური სივრცის გამოყენების თაობაზე. ეს კონფერენცია 9-22 აგვისტოს გაიმართება ვენაში. კონფერენციის სამზადისის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მომავალი ფორუმის გენერალური მდივანი იაშ პალი (ინდოეთი).

## მოკლედ

### ტელეტაიპის ლენტიდან

**● პარიზი**

**საერთაშორისო სამრეწველო ბაზრობა მე-64-ჯერ გაიხსნა ქალაქ ლიონში — საფრანგეთის ერთ-ერთ უდიდეს ინდუსტრიულ ცენტრში. წლევანდელი ბაზრობა ყველაზე წარმომადგენლობითია: მასში მონაწილეობს 27 ქვეყანა, თავისი პროდუქცია წარმოადგინა 2.500-ზე მეტმა სამრეწველო და სავაჭრო ფირმამ. ბაზრობაში მონაწილეობს საბჭოთა კავშირი, და ცალკე ბელორუსიის სსრ, საბჭოთა რესპუბლიკა, რომელსაც მნიშვნელოვანი სავაჭრო კავშირგაურთიერთობანი აქვს საფრანგეთთან.**

**● დამასკო**

**სირიის დედაქალაქში გაიმართა შეხვედრა პრეზიდენტ ჰ. ასადსა და პალესტინის დელეგაციას შორის, რომელსაც ხელმძღვანელობს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარე ი. არაფატი.**

**განიხილეს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება.**

**● ნიუ-იორკი**

**როგორც გაზეთი „ჩიკაგო „ტრიბიუნი" იუწყება, ლ. ჰარისის სამსახურის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ მკვეთრად ეცემა ამერიკელთა ნდობა თეთრი სახლის ახლანდელი მეთაურის საქმიანობისადმი, მას ნეგატიური შეფასება მისცა 58 პროცენტმა. ეს მაჩვენებელი ამა წლის იანვარში 52 პროცენტს აღწევდა.**

**● ლონდონი**

**დიტჩლი-პარკში (ლონდონის გარეუბანში) დამთავრდა განიარაღებისა და უშიშროების საკითხების დამოუკიდებელი კომისიის მორიგი სხდომა. საბჭოთა კავშირიდან კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა აკადემიკოსი გ. ა. არბატოვი.**

● ისრაელი

## ხალხის უკმაყოფილება

**ბეირუთი. ისრაელმა დამსჯელებმა მოაწყვეს ქალაქებში ელ-ბირასა და რამალაჰში გამართული მასობრივი გამოსვლების მონაწილეთა სისხლიანი რბევა.** მათ ცეცხლი დაუშინეს მშვიდობიანი დემონსტრანტების კოლონებს. მანიფესტაციები მოეწყო პროტესტის ნიშნად ტელ-ავივის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ დაითხოვოს ელ-ბირის მუნიციპალიტეტი, აიძულოს პალესტინის მოსახლეობა და მისი წარმომადგენლები ითანამშრომლონ საოკუპაციო ეგრეთწოდებულ „სამოქალაქო ადმინისტრაციასთან" და თავს მოახვიონ მათ ყბადაღებული „ადმინისტრაციული ავტონომია". სიონისტთა ამ მხეცური აქციის შედეგად დახოცილია ორი პალესტინელი ჭაბუკი, დაჭრილია ათობით კაცი, ბევრი დაპატიმრებულია და ჩასმულია საპყრობილეში.

სახალხო უკმაყოფილების ტალღა მოედო მთელ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებს. პრაქტიკულად მთლიანად ჩაკვდა ცხოვრება მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის ბევრ ქალაქში, სოფელსა და პალესტინელთა ბანაკში. დახურულია სკოლები, უნივერსიტეტები და კოლეჯები, არ მუშაობენ საწარმოები, სახელმწიფო დაწესებულებები, ბანკები, მაღაზიები, მიუხედავად იმისა, რომ სიონისტი ოკუპანტები ცდილობენ აიძულონ მოსახლეობა შეწყვიტოს საყოველთაო გაფიცვა. მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის ქალაქების მერებმა მოსახლეობას მოუწოდეს განაგრძონ საყოველთაო გაფიცვა, რომელიც სამი დღის წინათ დაიწყო. ღაზის სექტორის პალესტინელმა მცხოვრებლებმა სოლიდარობა გამოუცხადეს იორდანის დასავლეთ ნაპირის არაბულ მოსახლეობას და შეუერთდნენ საყოველთაო გაფიცვის მონაწილეებს.

პალესტინელი არაბების გამოსვლების გაქანებით შეშინებულმა ისრაელის ხელმძღვანელობამ გასცა ბრძანება სხვა რაიონებისაგან დასავლეთ ნაპირის ქალაქების ფაქტობრივი იზოლაციის შესახებ.

## ფოტოფაქტი



**ბოლო ორ წელიწადში სალვადორის მრავალტანჯულ მიწაზე 36 ათასი კაცი დაიღუპა, რომელთა შორის უმრავლესობა მოხუცი, ქალი და ბავშვია. ეს დედაშვილი (სურათზე ზემოთ) რაღაც სასწაულით გადაურჩნენ გამხეცებულ ჯარისკაცებს.**

**სალვადორის პატრიოტული ძალების ბრძოლა ძალას იკრებს. ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმები მამაცურად ეხსმიან თავს მოწინააღმდეგეს, იპყრობენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებს.**

**პატრიოტები ბრძოლებს შორის ხანმოკლე შესვენების დროს (სურათზე ქვემოთ).**



## პაკისტანი მასობრივი გამოსვლები

**ლონდონი.** ქალაქ ლაჰორში გამოსვლისას პაკისტანის პრეზიდენტმა ზია-ულ-ჰაკმა ქვეყანაში ამჟამად შექმნილი „სახიფათო" ვითარებისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა ოპოზიციურ ძალებს, და კვლავ უარყო პაკისტანში სამხედრო წესების გაუქმებისა და პარლამენტის არჩევნების მოწყობის ყოველგვარი შესაძლებლობა. ეს გადმოსცა რეიტერის სააგენტომ.

ლაჰორში ზია-ულ-ჰაკის ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე აქ გაიმართა პენჯაბის პროვინციის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლათა 20 ათასზე მეტი მასწავლებლის გამოსვლა. განათლებისათვის ხარჯების გადიდებისა და ხალხის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შესახებ მოთხოვნებთან ერთად მასწავლებლებმა მხარი დაუჭირეს ქვეყნის მოსახლეობის დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების დაუყოვნებლივ უზრუნველყოფას. პოლიციამ მასწავლებელთა წინააღმდეგ ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი იხმარა. დემონსტრაციის 500 მონაწილე დაპატიმრებულია. დაახლოებით 100 კაცი დაშავდა.

მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკის საწინააღმდეგო მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები მოეწყო ბოლო კვირის მანძილზე პეშავარში — ჩრდილო-დასავლეთი სასაზღვრო პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრში. როგორც რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, ამ დემონსტრაციებში აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტები და უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები, რომლებმაც ასევე დაუჭირეს მხარი ქვეყანაში პარლამენტის არჩევნების მოწყობას.

პაკისტანის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გამოსვლებს ხელისუფლებმა უპასუხეს ტერორის უპრეცედენტო კამპანიით, რომლის დროსაც ქვეყანაში 10 ათასზე მეტი კაცი დააპატიმრეს. საზღვარგარეთის საინფორმაციო სააგენტოთა მოწმობით, მთავრობის სპეციალური დეკრეტის საფუძველზე ზია-ულ-ჰაკის რეჟიმი ამჟამად განსაკუთრებულ სამხედრო ტრიბუნალებს ქმნის დათხოვნილი პოლიტიკური პარტიების დაპატიმრებულ აქტივისტებთან, მუშებთან და პაკისტანში სამოქალაქო თავისუფლებათა უზრუნველყოფისათვის სხვა მებრძოლებთან ანგარიშის გასასწორებლად.

### საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

## საერთაშორისო დედამიწის ზურგზე სხოვრება

### 23 მარტი

# „საქართველოს მზემ გაათბო ლაიფციგი"

### დამთავრდა ლაიფციგის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობა

**ლაიფციგი.** (საქინფორმის სპეც. კორ. ი. გოლდმანი, ა. ბურდანოვი). დამთავრდა საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობა, რომელიც მიმდინარეობდა დევიზით „თავისუფალი მსოფლიო ვაჭრობისა და ტექნიკური პროგრესისათვის". ამ დიდ საერთაშორისო დათვალიერებაში მონაწილეობდა თითქმის 70 ქვეყნის 9 ათასი ფირმა და საგარეო სავაჭრო გაერთიანება. გამოფენამ თვალსაჩინოდ ცხადყო საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების მზარდი ეკონომიკური ძლიერება, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის წარმატებები. სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავისადმი მიძღვნილმა საბჭოთა კავშირის ექსპოზიციამ ბაზრობის დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

საბჭოთა პავილიონში შვიდ დღეს ჟღერდა ქართული ცეკვებისა და სიმღერების მელოდიები, რომლებიც მრავალრიცხოვან დამთვალიერებელს იზიდავდა. საბჭოთა საქართველო მეორედ ეწვია ძველ ლაიფციგს, სადაც წარმოადგინა სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებაში მიღწეული წარმატებები. საქართველოს სსრ ექსპოზიციამ, რომელიც ადამიანების ყურადღებას იპყრობდა ორიგინალური გაფორმებით, ეროვნული კოლორიტითა და აზრობრივი სიღრმით, თვალნათლივ ცხადყო, თუ რა დიდი გზა განვლეს ერებმა, რომლებიც ახლა ხალხების ძმური ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრები არიან.

... გამოფენის დამთვალიერებლებს ანდამატივით იზიდავს სტენდი, რომელზეც წარმოდგენილია საფეიქრო საქონელი, ხალიჩები, ეროვნული ტანსაცმელი, მინისა და კერამიკის ნაწარმი, და, ცხადია, მთელ მსოფლიოში ცნობილი ქართული ჰედურობის ნიმუშები — „სოლანის" ოსტატთა ნამუშევრები.

დამთვალიერებლები ინტერესით გაეცნენ საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკების სხვადასხვა ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობის ნიმუშებს — თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ბერლინის სამედიცინო კლინიკის „შარიტეს" ერთობლივ ნამუშევრებს. ქართველ მედიკოსთა ნამუშევარი აღინიშნა ლაიფციგის ბაზრობის უმაღლესი ჯილდოთი. ოქროს მედალი მიენიჭა ა. პ. წულუკიძის სახელობის უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში დამზადებულ თირკმელების ლოკალური ჰიპოთერმიის აპარატს.

საბჭოთა საქართველოს ექსპოზიციისადმი ფართო ინტერესს ასახავს მრავალრიცხოვანი ჩანაწერები შთაბეჭდილებათა წიგნში. ლაიფციგის კავშირგაბმულობის აპარატურის ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორებმა ამ წიგნში ჩაწერეს: „აღფრთოვანებული ვართ ქართველი ხალხის აღმშენებლობითი შრომის შედეგებით, რომლებსაც მიაღწიეს საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების დარგში. ეს მკაფიოდ მოწმობს, რომ წარმატებით ხორციელდება ლენინური ეროვნული პოლიტიკა".

„საქართველოს მზემ გაათბო ძველი ლაიფციგი, ანსამბლ „ორერას" სიმღერებმა მოაჯადოვა ბაზრობის სტუმრები", — წერს ადგილობრივი გაზეთი „ლაიფციგერ ფოლკსცაიტუნგი". გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალურმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა საქართველოს სსრ ექსპოზიციას და აღნიშნა, რომ საქართველოს საწარმოების მარჯიანი მოწყობილობა წარმატებით გამოიყენება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ესენია ჩარხები, გამომთვლელი ხელსაწყოები, მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

ქართული სტუმართმოყვარეობის სითბო დიდხანს ემახსოვრებათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც ამ საინტერესო გამოფენას ეწვივნენ. „ნახვამდის", მზიურო რესპუბლიკავ, გისურვებთ შემდგომ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის პროგრამის შესრულებაში, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში!", — ამბობენ ისინი დამშვიდობებისას.

● ინდოეთი

## დეპუტატთა მოთხოვნა

**დელი. „შეწყდეს ჩინეთისა და ამერიკის სპეცსამსახურების ჩარევა ინდოეთის საშინაო საქმეებში!" — ასეთი მოთხოვნით გამოვიდნენ ინდოეთის პარლამენტის დეპუტატები.** ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში არსებული მდგომარეობის შესახებ ზედა პალატაში გამართული კამათის დროს პარლამენტარებმა აღნიშნეს, რომ ქვეყნის ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რაიონში განაგრძობენ მოქმედებას მრავალრიცხოვანი სეპარატისტული დაჯგუფებანი, რომლებსაც მხარს უჭერენ ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. პეკინი აჯანყებულებს ამარაგებს იარაღით, ძირგამომთხრელი ლიტერატურით. ექსტრემისტები ჩინეთის ტერიტორიაზე გადიან მომზადებას.

პეკინის ოკეანისგაღმელი პარტნიორები — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთში მისიონერების ნიღბით მოქმედებენ, თავის მხრივ, სეპარატისტებს ეხმარებიან დაიმალონ და ინდოეთის სახელმწიფო საზღვარი გადალახონ. პარლამენტის წევრმა ჯ. შარმამ აღნიშნა, რომ ჩინეთისა და ამერიკის სპეცსამსახურების მთავარი მიზანია ინდოეთს ჩამოაშორონ ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი შტატები.

● ირან-ერაყი

## გააფთრებული ბრძოლები

**ბეირუთი. ირან-ერაყის ფრონტზე გრძელდება გააფთრებული ბრძოლები.** როგორც ირანის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ცნობა იუწყება, ირანის ჯარები ფართოდ უტევენ ხუზესტანის პროვინციას ირანის სამხრეთ-დასავლეთში. აღნიშნულია, რომ ამ შეტევის დროს განთავისუფლდა ირანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხელში ჩაიგდეს ბევრი ერაყელი სამხედრო ტყვე.

ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ერაყის ჯარი, რომელიც იგერიებს მოწინააღმდეგის შეტევებს, კვლავ წინ მიიწევს ქალაქების დიზფულისა და სუსენგერდის რაიონში. ბრძოლების ბოლო სამი დღის მანძილზე, აღნიშნულია კომუნიკეში, ირანის ჯარებმა დაკარგეს 943 კაცი, 16 ტანკი, 1 ვერტმფრენი, რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორი და საარტილერიო ქვემეხი.

## შტრიხები შემოქმედებითი პორტრეტისათვის

# დაუვიწყარი სახელები

როცა ერთი დარგის თვალსაჩინო მოღვაწე აღიარებას აღწევს, იგი ამით თანამდგომთა შრომითს შემართებასაც აჩენს! რას გაძღება პიროვნების გარჯა აღიარებული კოლექტივის დაუხმარებლად. ამის ნათელი მაგალითია აფხაზური თეატრის მსახიობის შარახ ფაჩალიას ცხოვრება და შემოქმედება, რომელიც ვეტერანიც არის და პიონერიც, რაკი პირველმა მოიპოვა აფხაზურ თეატრში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება.

ამ სასიხარულო ცნობას სიამაყის გრძნობით შეხვდა ჩვენი თეატრალური საზოგადოებრიობა, და, ბუნებრივია, შემდგომი შემოქმედებითი შემართების სტიმული მისცა ს. ჭანბას სახელობის აფხაზური თეატრის ნიჭიერ და შრომისმოყვარე დასს ობიექტურად გააანალიზოს განვლილი გზა და მეტი წარმატებები მოიპოვოს აწმყოსა და მომავალში, მხარში ამოუდგეს ხალხსა და პარტიას გრანდიოზული ამოცანების შემოქმედებითად განხორციელებაში.

შარახ აბზაგოს ძე ფაჩალია 1914 წლის 20 მაისს დაიბადა გუდაუთის რაიონის სოფელ ადუცში და უკვე 1931 წლიდან მოღვაწეობს აფხაზეთის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მსახიობად, რეჟისორად და რამდენიმე პიესის ავტორიც გახლავთ. ყოველივე ამან შ. ფაჩალიას ნიჭიერი შემოქმედის სახელი დაუმკვიდრა, მრავალი როლი შეასრულა და ზოგი ისე ხატოვნად, რომ აფხაზური თეატრის ისტორიაში დაუვიწყარ სცენურ სახეებად დარჩა.

აფხაზურმა თეატრმა 1931 წლის 17 ნოემბერს აიდგა ფეხი პიესა „კერეოზით". იმხანად აფხაზური თეატრის შექმნაზე ბევრს ზრუნავდნენ ცნობილი რევოლუციონერები ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა. შ. ფაჩალიამ პირველსავე სპექტაკლში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა. — დაუოკებელი ტემპერამენტისა და ბრძოლის ჟინით აღსავსე გედლაჩას სახე შექმნა. მერე გოგოლის „რევიზორში" მიიღო მონაწილეობა და ოსიპის როლიც მარჯვედ მოირგო. ამას ქართველი დრამატურგების პიესებიც მოჰყვა — ს. შანშიაშვილის „ანზორი", ი. ვაკელის „შამილი", ა. ცაგარლის „ხანუმა", ა. სუმბათაშვილის „ღალატი", გ. მდივნის, ს. კლდიაშვილის, ვ. პატარაიას, გ. ქელბაქიანის, აფხაზი მწერლების — ს. ჭანბას, ა. ლასურიას, მ. ლაკერბაიას, შ. პკადუას, ი. პაპასკირის და სხვ. ნაწარმოებები, რუსული და დასავლეთ ევროპის კლასიკოსების, საბჭოთა ავტორების პიესები.

სიამოვნებით მახსენდება შარახ ფაჩალიას მიერ შექმნილი სცენური სახეები და ისიც, თუ რა წარმატებით თამაშობდა საკუთარ პიესებსა თუ ინსცენირებებში.

მაინც გამოვყოფთ შ. ფაჩალიას პიესას „უკვდავებას", სამამულო ომში გმირულად დაღუპული, მაგრამ უკვდავად დარჩენილი ვლადიმერ ხარაზიას როლს. ეს იყო მონუმენტური სცენური სახე გმირისა, რომლის ყოველი სიტყვა და მოძრაობა ბუნებრივად გამოხატავდა თანამემამულეთა ბუნებას, აფხაზი ხალხის სულიერ სიმტკიცესა და ფიზიკურ შეუდრეკელობას, პატრიოტულ ამაღლებულობასა და ინტერნაციონალურ გონიერებას, დამუხტულ დრამატიზმსა და ლირიკულ შვებას. პიესა „უკვდავების" ავტორი მთავარ როლსაც ასრულებდა და კოლეგიურ ნდობასაც ავლენდა თავისივე ტოლი მსახიობის ა. აგრბას რეჟისორული ექსპლიკაციისადმი. შ. ფაჩალიამ და ა. აგრბამ ერთობლივად წარმოაჩინეს ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხის გმირული სული და პატრიოტიზმი.

წარმატება ხვდა შ. ფაჩალიას მეორე პიესასაც — ყოვლისშემძლე „მახლოუს". სპექტაკლი მშვენივრად დადგა აფხაზური თეატრის მთავარმა რეჟისორმა დიმიტრი კორტავამ, დასაფასებლად რომ ილვაწა ქართულ სცენაზე და კვლავ მშობლიური თეატრის სამსახურშია სოხუმში. შ. ფაჩალიამ და დ. კორტავამ პირველებმა მწვავედ გაჩხვლიტეს იმ პერიოდში აფხაზეთშიც ფესვგამდგარი მომხვეჭელობა და მლიქვნელობა, ნეგატიური მოვლენები, რომლებიც ღრღნიდა ადამიანის გულსა და სულს. თეატრმა ამ სატირული სპექტაკლით კარგი სამსახური გაუწია საზოგადოებრიობის ბრძოლას ჯანსაღი, სუფთა კლიმატის დასამკვიდრებლად აფხაზეთში.

შ. ფაჩალიამ ქართულ პიესებშიც შექმნა საინტერესო სცენური სახეები. თავად დადგა ა. ცაგარლის „ხანუმა" და თავადვე შეასრულა ვანო ფანტიაშვილის როლი. მან წარმატებით წარმოაჩინა აგრეთვე ოთარბეგის სახე ა. სუმბათაშვილის პიესაში — „ღალატი".

განსაკუთრებული კვალი გაავლო მშობლიური თეატრის ისტორიაში აფხაზეთის სახალხო პოეტის ბაგრატ შინკუბას პოემამ „სიმღერა კლდეზე", რომლის ინსცენირება შარახ ფაჩალიას ეკუთვნის. იგი, ამასთან, მთავარი როლის შემსრულებელიც არის რეჟისორ ნელი ეშბას მიერ გმირულ-რომანტიკული ჟღერადობით დადგმულ სპექტაკლში. ფაჩალიას მიერ წარმოსახულ ხაჯარათის დაუვიწყარ სახეში მაღალი პროფესიულობითა და ღრმა მომხიბვლელობით გამოვლინდა მთელი ერის ჰუმანურობა და გმირობა, სიბრძნე და ტემპერამენტი, სამშობლოს სიყვარული და თავგანწირვა.

შ. ფაჩალიას ხაჯარათი ლოგიკურად დასაბუთებულ სცენურ პარტნიორობას უწევდა სპექტაკლის სხვა როლების ნიჭიერ შემსრულებლებს — ფაქიზი გრძნობებისა და დიდი ინტელექტის მატარებელი ლ. კასლანძიას შაბათას, ჭათას, რომელსაც აქტიორული გარდასახვის დიდებულ ე ბ ი თ ასახიერებდა ა. აგრბა, გაიძვერა თავად ნახარბეის (ნ. კამკია,), ზ. მიკვაბიას ერმოლოვას დედას, რუს რევოლუციონერ მუშას იაკობს, შინაგანი კეთილშობილებითა და გარეგნული მომხიბვლელობით რომ ასრულებდა ო. ლაგვილავა. და რაკი ძლიერი აქტიორული ანტურაჟი ჰქონდა შ. ფაჩალიას, დიდი დამაჯერებლობით იკვეთებოდა მისი სცენური გმირის — ხაჯარათის ფსიქოლოგიური პორტრეტიც.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ამ სპექტაკლში მრისხანედ აწყვეტილ კლდის ქიმზე მდგარი ფაჩალია — ხაჯარათისა და ლაგვილავა-იაკობის დიალოგი აფხაზი და რუსი ხალხის სამეგობრო საბრძოლო გზების გამონაზვაზე, ერთმანეთთან გამომშვიდობება-განშორებაზე, იმ ფიცზე, რომ თავიანთ მიწა-წყალზე დაამკვიდრებდნენ თავისუფლებასა და სიკეთეს, რათა ყველას ერთნაირად შეეტბო ახალი ცხოვრების იდეის მშვენიერება.

მშვენიერი იყო ხაჯარათის ლირიკული შეხვედრა სატრფოსთანაც, რომლის როლსაც ასრულებდა მსახიობი ს. დბარი. მათი სცენური მშვენიერება ღრმა კვალს ტოვებდა მნახველში.

ღრმა შთაბეჭდილება დატოვა შარახ ფაჩალიამ ამას წინ ქ. მახარაძის თეატრში. მან შეასრულა აგაბო ბოგვერაძის როლი ო. იოსელიანის პიესაში „სანამ ურემი გადაბრუნდება". მსახიობმა კიდევ ერთხელ გამოავლინა პროფესიული ოსტატობა და სცენურ სახეში ფსიქოლოგიური წვდომის ძლიერი უნარი. მან აგაბოს სახე შეკაზმა ხასხასა ფერებით, პლასტიკური ხაზებით, მრავალფეროვანი ნიუანსებით და, ბუნებრივიც არის, რომ კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების ჟიურიმ ერთხმად მიანიჭა შ. ფაჩალიას ამ სპექტაკლში როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრიზი, მის სცენურ კოლეგებს მინადორა ზუხბასა და ეთერ კოლონიასაც გადასცა მასპინძელი კოლმეურნეობის მიერ დაწესებული ჯილდო.

სხვა კარგი თვისებაც ამაღლებს შ. ფაჩალიას მოქალაქეობრივსა და აქტიორულ ბუნებას. მას, რა თქმა უნდა, დიდად უყვარს საკუთარი შექმნილი როლები, მაგრამ უყვარს და აფასებს კოლეგა-მსახიობების მიერ მაღალი პროფესიულობით შექმნილ სცენურ სახეებსაც. მსახიობმა ნ. კამკიამ დამაჯერებელი წარმატება მოიპოვა ყირგიზი დრამატურგის მარ ბაიჯიევის პიესა „დუელში", რომელშიც სულ სამი მოქმედი პირია და შ. ფაჩალია ერთ-ერთი მთავარს, — ისკანდერის როლს ასრულებდა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სიხარულით მივიდა კოლეგასთან და გულწრფელად მიულოცა წარმატება.

ასეთი გულწრფელობითა და კეთილშობილებით გამოირჩევა შარახ ფაჩალია — მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი. ამანაც განსაზღვრა მისი, როგორც აფხაზური თეატრის დირექტორის მოქალაქეობრივი და პროფესიული ავტორიტეტი. ასეთმა შემოქმედებითმა უშუალობამ ბუნებრივად გაზარდა აფხაზური და ქართული თეატრების შემოქმედებითი მეგობრობაც. ეს ნათლად გამოვლინდა ს. ჭანბას სახელობის აფხაზური თეატრის გასტროლების დროს მოსკოვში, ლ. ი. ბრეჟნევის მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოებ ი ს „აღორძინების" დადგმაში ხომ ქართული თეატრის დასის წევრებიც მონაწილეობდნენ.

მეგობრობის ასეთი კურსითა და ძმობის გზით ვუსურვებთ შემდგომშიც წინსვლას ვეტერან შარახ ფაჩალიას, ამიერიდან კი უკვე აფხაზ პიონერს — სსრ კავშირის სახალხო არტისტს, რამეთუ სწორედ ასეთმა ინტერნაციონალურმა ძმობამ — თანადგომამ უზრუნველყო თეატრალური ხელოვნების დონის ამაღლება აფხაზეთში.

შარახ ფაჩალია პირველი აფხაზი მსახიობია, რომლის სახელს ამშვენებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის მაღალი წოდება. ეს დამსახურებული აღიარებაა!

**ო. ეგაძე,**
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

## წყალბურთელთა საკავშირო...

**მოსკოვსა** და ტაშკენტში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. ამ ეტაპის ბოლო შეხვედრა თბილისის დინამოელებმა მოსკოველ თანაკლუბელებთან წააგეს ანგარიშით 5:6. ორი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილში გუნდები ასე განლაგდნენ: ალმა-ათის „დინამო" — 38 ქულა, მოსკოვის „დინამო" — 35, მოსკოვის უნივერსიტეტი — 31, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი — 29, კიევის „დინამო" — 27, თბილისის „დინამო" — 25, კასპიის ზღვის წითელდროშოვანი ფლოტილიისა (ბაქო) და შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის (სევასტოპოლი) გუნდები — 16-16, მოსკოვის „მოსკვიჩი" — 14, ლვოვის „დინამო" — 13, ტაშკენტის „მეხნატი" — 11 და მინსკის ასკ — 9 ქულა.

როგორც ხედავთ, თბილისის „დინამომ" საუკეთესო ექვსეულში დაიმკვიდრა ადგილი. ეს ექვსეული შემდგომაზე ცალკე ტურნირს გამართავს და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა პრიზიორთა ვინაობა.

## ხ. ტონიამა: „სპორტმა მეგობრები შეგვძინა"

— **ამერიკელ** ფალავანთა მომზადების მეთოდებმა, რომლებითაც იაპონიაში ხელმძღვანელობდნენ, წარმატება ვერ მოგვიტანა. ახლა გვსურს გადავიღოთ საბჭოთა სპორტსმენების გამოცდილება, რომლებსაც თავისუფალი ჭიდაობის განვითარების დიდი ტრადიციები აქვთ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თბილისში ყოფნის დროს ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა ხიდოკი ტონიამამ, რომელიც ახლა იბარაკის პრეფექტურის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდს წვრთნის.

იაპონელი სპორტსმენები ერთი კვირის განმავლობაში ქართველ ფალავნებთან ერთად გადიოდნენ წვრთნას. მანამდე კი მათ „სტაჟირება" კიევში გაიარეს.

— თავისუფალი ჭიდაობა ჩვენში მაინცდამაინც პოპულარული არ არის, — თქვა ხ. ტონიამამ. — მას დაახლოებით სამი ათასი კაცი მისდევს, ძირითადად ტოკიოში, იბარაკისა და გუმის პრეფექტურებში. ეს იმით აიხსნება, რომ იაპონიის სკოლებში ძიუ-დო სავალდებულო საგნად ითვლება, ამ ჭიდაობის ათვისების შემდეგ ბიჭები კიმონოს იოლად ვერ ელევიან.

იაპონელი მოჭიდავეები ჩვენს ქვეყანაში „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მოწვევით ჩამოვიდნენ. თბილისში მათ განკარგულებაში იყო საუკეთესო საჭიდაო დარბაზი — ფალავანთა რესპუბლიკური კლუბი, კონსულტაციას უწევდნენ ცნობილი სპეციალისტები, მათ შორის ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლ. თედიაშვილი.

— იაპონელი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები მდიდარ ტექნიკურ არსენალს ფლობენ, მაგრამ ბევრ მათგანს არ ყოფნის ძალა, ამტანობა, ტაქტიკური ჩვევები, — თქვა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა თავისუფალ ჭიდაობაში გ. საღარაძემ.

იაპონელ მოჭიდავეებს მასპინძლობდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო.

— ყველგან გულთბილად, მეგობრულად გვხვდებოდნენ. თქვენი ბიჭები არა მარტო შესანიშნავი სპორტსმენები, არამედ ნამდვილი მეგობრები არიან. მათთან ურთიერთობა ყოველმხრივ სასარგებლოა. იმედი მაქვს, ჩვენი შეხვედრები ტრადიციული გახდება და ჩვენი ხალხების დაახლოებას დაეხმარება, — აღნიშნა ხიდოკი ტონიამამ.

## ესპანეთი-82

### ალჟირელთა გადაწყვეტილება

**ალჟირის** ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატში უხელმძღვანელებენ რაშიდ მეკლუფი (უფროსი მწვრთნელი) და მოჰიედინ კალეფი. საბჭოთა სპეციალისტი ევგენი რიგოვი ამიერიდან მათი მრჩეველი იქნება.

### სამი მატჩი „მანჩესტერ სიტისთან"

**როგორც** ახალი ზელანდიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, ამ ქვეყნის ნაკრებისათვის მსოფლიო ჩემპიონატის წინ უკანასკნელი რეპეტიცია იქნება სამი შეხვედრა ინგლისის პირველი ლიგის გუნდთან „მანჩესტერ სიტისთან". მატჩები დაინიშნა 22, 26 და 29 მაისისათვის.

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში

**სკოლების** სამმართველო იტყობინება, რომ XV ლიტერატურული ოლიმპიადის რესპუბლიკური ტური, ნაცვლად 30 მარტისა, გაიმართება ამა წლის 18 აპრილს, კვირას, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შენობაში.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო.**

# ყურადღება

## მაგისტრალური გაზსადენი

**სსრ** კავშირის გაზის სამინისტროს საქართველოს საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზი", აცნობებს ყველა სამინისტროსა და უწყებას, ორგანიზაციებს, საწარმოებს, დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, რომელთა ტერიტორიაზე გადის მაღალი წნევის (55 ატმოსფერომდე) მაგისტრალური გაზსადენი, რომ გაზი ფეთქებადი და ხანძარსაშიშია.

მაგისტრალური გაზსადენის მექანიკურ დაზიანებას შეუძლია გამოიწვიოს გაზსადენის ავარია, რომელსაც ჩვეულებრივ თან ახლავს დიდი ძალის აფეთქება და ხანძარი, რასაც შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი და მსხვერპლი.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გაზსადენის დაზიანება, აუცილებელია მხედველობაში გვქონდეს შემდეგი:

1. სამშენებლო ნორმების (იხ. საამშენებლო ნორმები და წესები 11-45-75) და მაგისტრალური გაზსადენების დაცვის წესების (ზემდგომი ორგანოების დადგენილებით დამტკიცებული) შესაბამისად, გამოიყოფა დაცვის ზონა და მინიმალური დაშვები მანძილი მაგისტრალური გაზსადენის ღერძიდან დასახლებულ პუნქტამდე, სამრეწველო საწარმომდე და ცალკეულ შენობებამდე.

2. მაგისტრალური გაზსადენის დაცვის ზონაში კატეგორიულად აკრძალულია:

ა) რაიმე ნაგებობის აშენება;

ბ) კოლექტიური ბაღების გაშენება;

გ) სამშენებლო, სამონტაჟო, ასაფეთქებელი, კარიერული, სამთო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება;

დ) მიწის სამუშაოების შესრულება და სხვა მიწასათხრელი მანქანების გამოყენებით გაზსადენის მფლობელთა სპეციალური ნებართვის გარეშე;

ე) პირუტყვის სადგომების მოწყობა, პროდუქტების, სილოსისა, სასუქების საწყობების აგება, თივისა და ბზის დაზვინება, კოცონის ანთება, სასროლეთის გამართვა;

ვ) საველე სადგომების მოწყობა, ხალხის შეგროვება;

ზ) დროებითი დასასვენებელი ადგილის და გასაჩერებლების მოწყობა, კარვების გაშლა და სხვა;

თ) საველე გზის გაყვანა გაზსადენიდან 10 მეტრზე ახლოს;

ი) სახაზო ჩამკეტი არმატურის, კათოდური და სადრენაჟო სადგურების მიღება;

3. მაგისტრალური გაზსადენის 25-მეტრიან ზოლში, ორივე მხარეს აკრძალულია მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარგვა.

4. კატეგორიულად აკრძალულია გაზსადენის ტრასის გამოყენება სატრანსპორტო გზად და გაზსადენის გადაკვეთა მძიმეწონიანი მექანიზმებით და ტრანსპორტით სპეციალური გადასასვლელების მოუწყობლად, რომლებიც შეთანხმებულ უნდა იქნეს გაზსადენის მფლობელთან.

5. მაგისტრალური გაზსადენების დაცვის ზონაში ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას სამუშაოს მწარმოებელი ორგანიზაციები, საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვები ვალდებული არიან სახნავ-სათეს და სხვა სამუშაოთა წარმოებისას გაზსადენის მფლობელ ორგანიზაციას შეუთანხმონ აღნიშნულ სამუშაოთა ჩატარება და მიიღონ სპეციალური ნებართვა სამუშაოს შესრულების ადგილისა და დროის მითითებით, მასზე კონტროლისა და ღონისძიებათა გატარებით, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, გაზსადენისა და მის ნაგებობათა დაცვას.

6. გაზსადენის დაცვისათვის აღნიშნული ღონისძიებები სრულდება სამუშაოს ორგანიზაციათა ძალებითა და სახსრებით გაზსადენის მფლობელი ორგანიზაციის მიერ გაცემული ტექნიკური პირობების თანახმად.

7. ყველა სახის სამუშაოები ჩატარებულ უნდა იქნეს გაზსადენის მფლობელი ორგანიზაციების პასუხისმგებელ პირთა დასწრებით.

8. სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ცალკეული მოქალაქეები, რომლებიც დაარღვევენ გაზსადენის დაცვის ზონას, პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ორგანიზაციების ხელმძღვანელებო, სამუშაოთა მწარმოებლებო, ოსტატებო, ბულდოზერის, ექსკავატორის და სხვა სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მემანქანეებო, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ბრიგადირებო:**

— მიაქციეთ ყურადღება გამაფრთხილებელ ნიშნებს, რომლებითაც აღნიშნულია გაზსადენების ტრასა, ნუ დაარღვევთ მაგისტრალური გაზსადენის დაცვის მომქმედ წესებს;

— გაზსადენიდან გაზის გაჟონვის შენიშვნისას გთხოვთ სასწრაფოდ აცნობოთ გაზსადენის მფლობელ სახაზო-საწარმოო სამმართველოს შემდეგი მისამართებით:

1. საგურამოს სახაზო-საწარმოო სამმართველოს (სსს) — მცხეთის რაიონში, სოფელი საგურამო. ტელეფონი 66-22-49 მცხეთის ატს 22-54 (მომსახურებას უწევს მაგისტრალურ გაზსადენებს მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, კასპის, გორის, ქარელის რაიონების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე);

2. ყაზბეგის სსს — ყაზბეგის რაიონი, სოფელი არშა, ტელეფონი ყაზბეგის ატს — 24-30, 24-31 (მომსახურებას უწევს გაზსადენებს ყაზბეგისა და დუშეთის რაიონების ტერიტორიაზე);

3. თერჯოლის სსს — თერჯოლის რაიონი, სოფელი ხარბევი; ტელეფონი 5-53-50 (მომსახურებას უწევს გაზსადენებს ბორჯომის, ხაშურის, საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის, წყალტუბოს რაიონების ტერიტორიაზე).

**ტექნიკური პირობების მიცემასა და პროექტების შეთანხმებას აწარმოებს საქართველოს საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზი", გაერთიანების მისამართია: ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი, 12, ტელეფონი 66-28-14, 66-15-05, 66-11-89**

**საქტრანსგაზი.**

## საქმთავარენერგოს მაღალი ძაბვის ელექტროსაქსელო საწარმო

**აფრთხილებს** ყველა მოქალაქეს, წარმოება-დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, რომ თანახმად „მაღალი ძაბვის დაცვის წესებისა", რომელიც დამტკიცებულია ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის დამცავ ზონაში კატეგორიულად აკრძალულია: თივისა და ჩალის ზვინის დადგმა, შეშის დაწყობა, საქონლის დაბინავება, ცეცხლის დანთება, ყოველგვარი მშენებლობა, საბურღ-ასაფეთქებელი სამუშაოები, სროლა, კარიერის დამუშავება, მასობრივი სეირნობა, ხეების დარგვა და მოჭრა. პიროვნებანი, რომლებიც დაარღვევენ აღნიშნულ დადგენილებას, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში. მოქალაქეებმა, რომლებიც შეამჩნევენ რაიმე უწესრიგობას მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებზე, უნდა აცნობონ ეს შემდეგი მისამართით:

თბილისი-380045, ნაკადულის ქ. № 2.

ტელეფონი: 93-91-44; 93-89-48; 93-89-87.

**საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატი და ომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკური რადიოცენტრის უფროსის მოადგილე, თადარიგის გენერალ-მაიორი**

**ნარიმან ვარლამის ძე დალაქიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## ინფორმაცია—82

### გვატყობინებენ „კომუნისტისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

# დიდი აღიარება

**საქართველოს** სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომით.

გასული წლის ივნისიდან ნოემბრამდე მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები გაეცნენ ვრცელ ექსპოზიციას „არქეოლოგია და თანამედროვეობა", რომელიც მოეწყო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში.

ქართველ არქეოლოგებს საპატიო ჯილდო მიენიჭათ „რესპუბლიკაში დიდი მასშტაბის კვლევისათვის, არქეოლოგიის აქტუალური პრობლემების დამუშავებისათვის, ექსპოზიციის მაღალი მეცნიერული დონისათვის".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მუშაკთა მეცნიერულ შრომებს მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ორი ოქროს, 12 ვერცხლისა და 20 ბრინჯაოს მედალი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ისტორიაში არქეოლოგიური ექსპონატების დათვალიერება მოეწყო პირველად, და ამიტომ განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერთა ნამუშევრებმა ასეთი ფართო აღიარება მოიპოვა.

## გზა მშვიდობისა, „თბილისელო კომკავშირელო"

„**თბილისი**-ხარკოვ-მინსკ-ბრესტ-ვილნიუს-რიგა-ლენინგრად-მოსკოვ-თბილისი", — ასეთია მარშრუტი ტურისტული ექსპედიციისა „ჩემი სამშობლოა სსრ კავშირი", რომლითაც საგაზაფხულო სასკოლო არდადეგების დღეებში გაემგზავრება საქართველოს დედაქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 400 მოსწავლე. ექსპედიციის ორგანიზატორმა — კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტმა იგი მიუძღვნა სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს და საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობას.

„თბილისელი კომკავშირელი" 23 მარტს გაუდგა გზას. მისი მარშრუტის ყველა პუნქტში, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით დიდებასთან, გაიმართება შეხვედრები პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებთან, ომისა და შრომის გმირებთან. შეხვედრები მოეწყობა საწარმოებსა და სასწავლებლებში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებში. დიდი სამამულო ომის ვეტერანები შ. თათარაშვილი და ლ. მიქელაძე, რომლებიც სპეციალურ მატარებელს გაჰყვებიან, ბავშვებისათვის მოაწყობენ ლექციებსა და საუბრებს, მონაწილეობას მიიღებენ კონფერენციაში თემაზე — „მამათა გზით — გმირთა გზით".

ფართოა კულტურული პროგრამაც.

## ქართული ფაიფურის ოსტატები





„ყველა ნაწარმს ხარისხის ნიშანი" — ასეთი დევიზით შრომობს ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის კოლექტივი, რომელიც სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული.

**სურათებზე:** მხატვარი ვ. მიუხელიშიანი მუშაობის დროს; სერვიზი „თეთნულდი", რომლის გამოშვებაც უკვე დაიწყეს ფაიფურის ოსტატებმა.

ა. მაჭავარიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

### ხალხთა ერთიან ოჯახში

# დამოყვრებული მუზები

**ხარკოვი.** სსრ კავშირის შექმნის იუბილეს უძღვნეს ახალი სცენური ნამუშევარი უკრაინისა და საქართველოს კულტურის მოღვაწეებმა. ხარკოვის ნ. ვ. ლისენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა ზ. ფალიაშვილის კლასიკური მუსიკალური დრამის „დაისის" პრემიერა. იგი დაამშვენა ამიერკავკასიის კოლორიტულმა ეროვნულმა ცეკვებმა, რომლებიც დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა რ. მაჩაიძემ.

მოძმე რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა მეგობრობას დიდი ხნის ტრადიციები აქვს. ჯერ კიდევ 20-იან წლებში ხარკოვში ჩამოვიდნენ თბილისის მუსიკალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მათ შორის იყო კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილიც. მალე აქ, საქართველოს ფარგლებს გარეთ პირველად დაიდგა მისი ოპერა „აბესალომი და ეთერი".

— შემოქმედებითი კონტაქტები ახლა დიდ მტკიცე მეგობრობად გადაიქცა, — თქვა ნ. ვ. ლისენკოს სახელობის თეატრის მთავარმა რეჟისორმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა არტისტმა ვ. ლუკაშოვმა. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივთან დადებულია ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ, ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ მუსიკალური დრამატურგიის სიახლეებსა და ვცვლით საკონცერტო ბრიგადებს. საოპერო ხელოვნების მოყვარულთ ბევრი სასიხარულო წუთი განაცდევინეს სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ზ. ანჯაფარიძემ, მ. ამირანაშვილმა, ქართული სცენის სხვა ოსტატებმა, რომლებმაც შეასრულეს წამყვანი როლები ხარკოველთა სპექტაკლში. უკრაინის მომღერლებსა და მოცეკვავეებს არაერთხელ შეხვედრია გულთბილად სტუმართმოყვარე თბილისი. აქაურ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ხარკოველი სოლისტების მონაწილეობამ ნ. ლისენკოს ოპერა „ტარას ბულბაში".

# გვიხმობს მუსიკალური გაზაფხული

**პიონერის** ყელსახვევიანი ბულბული — ასეთია საბავშვო და საყმაწვილო მუსიკის რესპუბლიკური კვირეულის სახუმარო ემბლემა. ეს კვირეული თბილისში 24 მარტს გაიხსნება. წლევანდელი დღესასწაული ეძღვნება საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის მე-60 წლისთავს. მისი დევიზია „პიონერული საქმეებით ვადიდებთ სამშობლოს".

— რადგან წლევანდელი კვირეული პიონერული ორგანიზაციის მე-60 წლისთავს ეძღვნება, ჩვენ გადავწყვიტეთ, წარმოგვედგინა ნორჩი პიონერებისა და ოქტომბრელების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების აღსაზრდელთა საშემსრულებლო ხელოვნება, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანმა, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა მერი დავითაშვილმა, — ძირითადად საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის სასახლეში, აგრეთვე ა. ვირსალაძის სახელობის ხელოვნების სკოლაში გაიმართება კონცერტები, რომელთა პროგრამაშია თბილისის სამუსიკო სკოლების, სამუსიკო სტუდიების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სასწავლებლების, პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედების საუკეთესო კოლექტივების გამოსვლები. კონცერტში, რომელიც 27 მარტს გაიმართება ა. ვირსალაძის სახელობის ხელოვნების სკოლაში, ქართველი კომპოზიტორები შეასრულებენ ბავშვებისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს, შეხვდებიან თავიანთ ნორჩ მსმენელებს, გაუზიარებენ მათ შემოქმედებით ჩანაფიქრებს.

საგაზაფხულო მუსიკალური დღესასწაულის პანორამა ვრცელი და მრავალფეროვანია. მისი მოხმობის ნიშნები რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და სოფელში გაისმება. დღესასწაული 30 მარტს დამთავრდება დიდი საზეიმო კონცერტით პროფკავშირების სასახლეში.

### იშვიათი ხელობის ოსტატები

# ბოდბისხეველი მეჭურჭლეები

**ქიზიყი** — კახეთის ეს კუთხე ოდითგანვე განიცდიდა სასმელი წყლის ნაკლებობას. ისეთი დიდი სოფლების მცხოვრებნიც კი, როგორიც არის ჯუგაანი, ბოდბისხევი, მაჩხაანი, ძალზე შორიდან ეზიდებოდნენ წყალს.

თიხის დოქი იყო ერთადერთი ჭურჭელი. ზოგი მას მხარზე შემოიდგამდა, ზოგი კი ცხენს ან ვირს გადაჰკიდებდა კოკებს.

ჭურჭელი ბოდბისხევური იყო განთქმული. ისე გამოიყვანდნენ თიხას ოსტატები, ისე მოხატავდნენ დოქსა და ხელადას, ყიდვა რომ არ გდომებოდა, მაინც იყიდიდი.

ბოდბისხეველთა ნახელავია [illegible] ჩინებულად ყველაზე გამომწვარი, ყველაზე საუკეთესო თონეები, კრამიტი თუ აგური.

ამ სამიოდე საუკუნის წინათ პირველად ეს ხელობა შვიდ ძმას უცდია, ბოლოს კი სამიღა შემორჩენია წუთისოფელს. ორი მათგანი ჭურჭლის გამოწვაზე მუშაობდა, ერთი კი ღებავდა. გვარადაც ასე — მეჭურჭლიშვილად და მღებრიშვილად დაწერილან. ხელობა კი წლებიდან წლებში, ხელიდან ხელში, გვარიდან გვარში გადადიოდა. სოფელი არ ივიწყებს სახელოვანი ოსტატების ვასილ და გაბრიელ მეჭურჭლიშვილების, გიორგი ბოქოლიშვილის, ბაგრატ მევლუფიშვილის სახელებს. მათი ოსტატური ალღო, შემოქმედებითი ხელოვნება თაობიდან თაობებს გადაეცემოდა.

კერამიკული ჭურჭლის კოლექტიურ წარმოებას ბოდბისხევში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დაარსების შემდეგ ჩაეყარა საფუძველი. ჯერ რამდენიმე ხელოსანი გაერთიანდა, საამქრო ჩამოყალიბდა, შემდეგ კი ქარხნად იქცა. ეს მოხდა 1958 წელს. წითელი თიხის პროდუქციის საერთო მოცულობამ წლიწადში 300-400 ათას ლიტრს გადააჭარბა. 1962 წლიდან ქარხანა მხატვრულ, მოჭიქულ კერამიკულ წარმოებაზე გადავიდა.

იმ დღიდან აქ უცვლელად მუშაობდნენ საამქროს ოსტატი ვასილ ასანიშვილი, ჩამომქნელ-მხატვრები გოდერძი პავლიაშვილი, ნუნუ კორაშვილი, ნანა მეჭურჭლიშვილი, ნონა გოზალიშვილი და სხვები. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქარხანა ყოველწლიურად საწარმოო დავალებებს დიდი გადამეტებით ასრულებს. შარშან 16 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე გათვალისწინებული იყო და წლიური დავალება 107 პროცენტით გაანაღდა.

ბოდბისხევური ჭურჭელი არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ბევრ ოჯახს და სუფრას ამშვენებს.

ამას წინათ სიღნაღის რაიონის სამრეწველო კომბინატის ბოდბისხევის მოჭიქულ-მხატვრული კერამიკის საამქროს კოლექტივმა სასიხარულო ცნობა მიიღო. სახელმწიფო საატესტაციო კომისიამ მათ მიერ გამოშვებულ ძირითად პროდუქციას — 1,2 ლიტრი ტევადობის სურას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიაკუთვნა.

ამ ორი წლის წინათ ასეთივე საპატიო ხარისხის ნიშანი მიენიჭა მათ მიერ გამოშვებულ „ჭინჭილას".

იმ დღიდან წარმოება მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

და, რა თქმა უნდა, მოთხოვნილება ბოდბისხეველთა ჭურჭელზე დღითი დღე იზრდება.

როგორც რაიმრეწვკომბინატის დირექტორმა გ. ჯანაშვილმა გვაცნობა, შენდება თანამედროვე მძლავრი ტექნიკით აღჭურვილი ახალი კერამიკული ქარხანა, მისი წლიური სიმძლავრე 35 ათასი მანეთიდან 300-400 ათას მანეთამდე გაიზრდება.

**ვლ. მჭედლიშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

რედაქტორი
**გ. ბედინეიშვილი**

## ტელევიზია

### 24 მარტი

**პირველი პროგრამით:** 9.00— „ვრემია" (მ.), 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამარჯობა, თანატოლო!", 10.00 „მოამბე", 10.30 — „საქართველოს კომკავშირი ოცდამეთორმეტე" — ქართული მხატვრული ფილმი „სინათლე ჩვენს ფანჯრებში", 11.50 — ბავშვებისათვის „ჩვენი საგაზაფხულო კინოდარბაზი" — მხატვრული ფილმი „ქირავდება ბინა ბავშვიანად", 13.05 — მათემატიკის ტელეკურსი, 17.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.30 — „საქართველოს კომკავშირი — ოცდამეთორმეტე" — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ჩემი თანატოლები, მექანიზატორები", 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი" — „მღერის ირმა სოხაძე" (გამეორებით), 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — „მოამბე", 19.30 — ევროპის პირველობა ფეხბურთში ახალგაზრდულ გუნდებს შორის: „სსრ კავშირისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები" მეორე ტაიმი. რეპორტაჟი მოსკოვიდან, 20.15 — „საქართველოს კომკავშირი ოცდამეთორმეტე" — ქართული მხატვრული ფილმი „ღიმილის ბიჭები", 21.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფანჯარა", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „საქართველოს კომკავშირი — ოცდამეთორმეტე" — „სამშობლოა ჩვენი მეკვლე" — „პოლიტექნიკოსი — 81", 23.15 — „მომღერლის გახსენება" — ირაკლი შუშანია, 23.55 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამით:** 17.00 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა, 17.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოსტატი", 17.40 — მოსწავლეთათვის — ქიმია, 18.10 მულტიპლიკაციური ფილმი, 18.20 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა.


**კომუნისტი**

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

ლენინის ქ. 14.
380096, თბილისი-96.



რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის—93-20-84, საბჭოთა მშენებლობის — 93-48-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 98-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
380096, თბილისი-96,
ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხომახაძის 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434

უე 08164